საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/46 "25" აპრილი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთო სასამართლოების 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთო სასამართლოების 2023 წლის სამოქმედო გეგმა" თანდართული სახით.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ
საერთო სასამართლოების 2023 წლის სამოქმედო გეგმა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი (შემდგომში - კანონი) მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის საერთო სასამართლოებთან მიმართებით.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, რაც გულისხმობს როგორც შესაბამისი პროცედურული მექანიზმების შექმნას, ისე ნებისმიერ გონივრულ მისადაგებას იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლოს სასამართლო განხილვის პროცესში.

კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება, ასევე სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით. ხსენებული ვალდებულებების შესასრულებლად უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ვადების მითითებით.

კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/49 განკარგულებით დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთო სასამართლოების 2022 წლის სამოქმედო გეგმა.“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყველა მიმართულებით განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდა რაიონულ, ასევე მაგისტრატ სასამართლოებში პანდუსების მოწყობის სამუშაოები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიზნით ადაპტირდა საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემა (ecd.court.ge), სასამართლო საქმის რეგისტრაციის სერვისი (ecourt.ge) და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი (hcoj.gov.ge); საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისთვის და სასამართლოს აპარატის მოხელეებისთვის, მოსამართლეთა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, განახლდა სასწავლო მოდული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, ასევე გადამზადდნენ მოსამართლეები და აპარატის მოხელეები.

საბაზისო მაჩვენებლების გათვალისწინებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდა ხანგრძლივი პროცესია, რომლის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სხვა საჭიროებების დეტალური განსაზღვრა. იმისათვის, რომ კანონის მოთხოვნების შესრულება მოხდეს 2035 წლამდე, აუცილებელია: (ა) შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; (ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; (გ) საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის და კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთო სასამართლოების 2023 წლის სამოქმედო გეგმას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საერთო სასამართლოების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია წარედგინება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად, ასევე ცნობის სახით ეგზავნება საქართველოს პარლამენტს.

მიზანი 1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 1.1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებში ადაპტირებული გარემოს მოწყობა	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: სასამართლო შენობებში მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: სასამართლო შენობები არ არის სრულად ადაპტირებული და მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** სასამართლო შენობები სრულად ან ნაწილობრივ ადაპტირებულია
აქტივობა 1.1.1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით პანდუსების მოწყობა შუახევისა და ონის მაგისტრატ სასამართლოებში**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: შუახევისა და ონის მაგისტრატ სასამართლოებში მოწყობილია პანდუსები	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი
აქტივობა 1.1.2.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით ლიფტების მოწყობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოში**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილია ლიფტები	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტი
მიზანი 2.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 2.1	სასამართლო ფორმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: სასამართლო ფორმები სრულად ხელმისაწვდომია	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: სასამართლო ფორმები სრულად არ არის ადაპტირებული	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** სასამართლო ფორმები სრულად ადაპტირებულია
აქტივობა 2.1.1	**სარჩელისა და შესაგებლის ფორმების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ადაპტირება**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სარჩელისა და შესაგებლის ფორმები სრულად ადაპტირებულია	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი
მიზანი 3.	**საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 3.1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტის გაზრდა	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები გაზრდილია	

	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტები	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის სტანდარტები დანერგილია საერთო სასამართლოებში
აქტივობა 3.1.1	**იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისთვის და სასამართლოს მოხელეებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
აქტივობა 3.1.2	**სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები